

**თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი 080371
პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს
აღწერა**

თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი თეატრალური დიზაინის და კინოს მხატვრობის, ანუ სცენოგრაფიის დარგობრივი სფეროს პროფესიული კვალიფიკაციაა.

თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის სპეციალობა არის სცენოგრაფიის ქვესფერო, რომელიც შეისწავლის თეატრისა და კინოს დეკორაციების შექმნისა და შესრულების ხელოვნებას. ეს არის ორი მომიჯნავე დარგის (თეატრისა და კინოს) გამაერთიანებელი საქმიანობის სფერო, რომელშიც თანაბრად გამოიყენება როგორც სახვითი, ასევე ციფრული ტექნოლოგიები, როგორც საშემსრულებლო-პრაქტიკული, ასევე კომპოზიციურ-მხატვრული ასპექტები. ამ სფეროს ახასიათებს თეატრისა და კინოს გამაერთიანებელი და განმასხვავებელი თვისებების სინთეზი.

თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის საქმიანობის სფერო ასევე მოიცავს საკუთარი საავტორო ან და დამდგმელი მხატვრის ესკიზების შესაბამის მასალაში განახორციელებას ტრადიციული და თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებების (მედია ენის ვიზუალური ასპექტები) გამოყენებით; მოიცავს თეატრის და კინოს დეკორაციის შესრულების პროცესს, მის ტექნოლოგიას, სცენოტექნიკური საშუალებების განვითარების, სცენოტექნიკის ახალ ტექნოლოგიებთან სინთეზის კონტექსტში; მოიცავს მხატვრული პროდუქციის შექმნის პროცესში მსგავსი ასპექტების, როგორცაა რეალური და ვირტუალური დეკორაციები, სპეცეფექტები, განათება, ურთიერთკავშირს.

**II. დასაქმების
სფერო**

- თეატრი;
- კინოწარმოება;
- ტელევიზია.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება
- შემოქმედებითი ტურის გავლა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი ორსაფეხურიანია, სახელდობრ, იგი მოიცავს პროფესიული განათლების მეოთხე და მეხუთე საფეხურებს. თითოეული საფეხური სამსემესტრიანია და მოიცავს 90-90 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40 პროცენტი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. თითოეული საფეხურის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

V. თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის კვალიფიკაციის აღმწერი

თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცნობს თეატრისა და კინოს დეკორაციის შექმნის და შესრულების ტექნიკურ და მხატვრულ ასპექტებს. ფლობს სხვადასხვა ტიპის, დანიშნულებისა და ხასიათის რეალური და ვირტუალური დეკორაციების, სპეცეფექტების, განათების და განხორციელების თავისებურებებს. ერკვევა რეალური და ვირტუალური დეკორაციების მოდელირება-კონსტრუირებისა და მოხატვის, დაფაქტურების საფუძვლებში. იცნობს სხვადასხვა სირთულის დეტალებისა და აქსესუარების შექმნის კანონებსა და წესებს მასალების (ქსოვილი, ხე, ლითონი, მიკროფიბრა, ციფრული მატარებლები, პოლიეკრანი და ა.შ) ხასიათის გათვალისწინებით. ერკვევა თავისუფალი მეთოდით სპეციფიკური ფაქტურების შექმნის ტექნოლოგიაში. ერკვევა მოცულობითი ფორმების არქიტექტონიკაში. იცნობს სხვადასხვა ხელოვნებათა (თეატრის, სახვითის, კოსტუმის) ისტორიებს. აქვს ხატვისა და ფერწერის ელემენტარული უნარი. ადეკვატურად აღიქვამს კომპოზიციურ ამოცანას და შეუძლია მისი შეფასება. ფლობს კონკრეტული დარგის ათვისებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიას. კარგად ფლობს რთულ სახატავ და არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამებს. ზოგადად იცნობს კოსტუმების მოხატვის, დაფაქტურების საფუძვლებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია შეიმუშავოს კონკრეტული ამოცანის შესაბამისი თეატრისა და კინოს დეკორაციის მრავალგვარი ნიმუშებისთვის კონსტრუქციული და ფერითი ექსკიზები, მაკეტები, ვირტუალური მაკეტები და ნახაზები. შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სპეციალური საინფორმაციო ტექნოლოგია. შეუძლია შემოქმედებითად გადაჭრას კონკრეტული ამოცანა. შეუძლია კონკრეტული ამოცანის შესაბამისი მასალითა და სათანადო ტექნოლოგიური პროცესების დაცვით შეასრულოს თეატრისა და კინოს დეკორაციის მრავალფეროვანი ნიმუშები, შექმნას ექსკლუზიური კონსტრუქციები თავისებური მოცულობითი ფორმების, მასალებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით; ასევე შეუძლია თეატრისა და კინოს კოსტუმების სპეციფიკური ჩაწერა და დაფაქტურება მხატვრული ჩანაფიქრის გათვალისწინებით. შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის დარგში მომუშავე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებს.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად შეიმუშავოს ალტერნატიული ვარიანტები, შემუშავებული ვარიანტებიდან შეარჩიოს საუკეთესო და მის განსახორციელებლად გამოიყენოს ოპტიმალური და ვიზუალურად მომგებიანი მასალა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე</p>	<p>იცნობს პროფესიასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და ტექნოლოგიურ პროცესებს. თავისუფლად შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი</p>

	ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	კომუნიკაცია პროფესიის ირგვლივ. იცნობს სპეციფიკურ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი ტექნოლოგიები. შეუძლია დაამუშავოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უცხო ენაზე (ინგლისურად).
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული საფეხურის ათვისების შემდეგ შეუძლია განსაზღვროს პირადი პროფესიული ზრდის სავარაუდო პერსპექტივები და აირჩიოს სასურველი მიმართულება.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცავს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს. პატივისცემითა და პასუხისმგებლობით ეკიდება კოლეგებსა და მათი შრომის შედეგს. ითვისებს (საჭიროების შემთხვევაში) დამკვეთის სურვილს და კონკრეტულ სიტუაციაში იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს. იცავს უსაფრთხოების წესებს.

თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	საფუძვლიანად ფლობს თეატრისა და კინოს დეკორაციების შექმნის და მათი დამუშავების ტექნოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ასპექტებს. საფუძვლიანად იცნობს სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის რეალური და ვირტუალური დეკორაციების, სპეცეფექტების, განათების განხორციელების თავისებურებებს; თეატრისა და კინოს კოსტუმების შექმნის და მათი დამუშავების ზოგად წესებს. ფლობს ნებისმიერი სირთულის დრამატურგიული განვითარების შესაბამისი ვიზუალური სახე-ხატების წყობის შექმნის-კადრირების ტექნიკას, რეალური და ვირტუალური დეკორაციების მოდელირება-კონსტრუირებისა და მოხატვის, დაფაქტურების ტექნოლოგიას; იცნობს სხვადასხვა სირთულის დეტალებისა და აქსესუარების გამოხატვის ტექნიკურ მოთხოვნებს, ისტორიული თარგების სახეებს. იცნობს სხვადასხვა ტიპის მასალის ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდებსა და ექსკლუზიური მასალის შექმნის სპეციფიკას. ფლობს ხატვისა და ფერწერის საფუძვლებს. შეუძლია ერთობლივ კონტექსტში გაიაზროს თეატრისა და კინოს დეკორაციების და კოსტუმების შესრულების კომპოზიციური და მხატვრული მხარე და შეუსაბამოს მას შესატყვისი, მათ შორის ახალი ციფრული, ტექნოლოგიის საშუალებები. იცნობს დრამატურგიის, სცენოგრაფიის, თეატრისა და კინოს, ისტორიის და ვიზუალური ხელოვნების ისტორიის წანამდღვრებს. ფლობს მენეჯმენტის საფუძვლებს. მიღებული აქვს შესაბამისი საწარმოში მუშაობის გამოცდილება.
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული	შეუძლია შეასრულოს საავტორო ესკიზები თეატრალური, შოუსა და კინო-ტელე პროექტებისა და დადგმებისათვის. შეუძლია შეარჩიოს პროექტის შესაბამისი მასალა, ან

გამოყენების უნარი	პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	დაამზადოს ექსკლუზიური მასალის ნიმუში. შეუძლია შეიმუშავოს თეატრალური, შოუსა და კინო-ტელე პროექტებისა და დადგმებისათვის ნებისმიერი სირთულის სცენოგრაფიული კონსტრუქციების ნახაზები. შეუძლია შეასრულოს ნებისმიერი ტიპის საავტორო კონცეფციის შესაბამისი დეკორაციები მათი ტექნოლოგიური და ტექნიკური ნიუანსების დაცვით. შეუძლია უხელმძღვანელოს და კოორდინირება გაუწიოს შესაბამის დარგში მომუშავე პირთა ჯგუფს, ადეკვატურად შეაფასოს ნამუშევარი და საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს შედეგი.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია სწორად განსაზღვროს სპეციფიკური დარგობრივი ამოცანა. კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად შეუძლია სათანადოდ გამოიყენოს ყველა შესწავლილი დარგობრივი კომპეტენცია. შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს შესრულებული ნამუშევრის ხარისხი, ვიზუალური მხარე და გაანალიზოს შედეგი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია თანმიმდევრულად და მწყობრად მიაწოდოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია და იდეები სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. ინფორმაციის მიწოდებისას შეუძლია გამოიყენოს თვისობრივი და რაოდენობრივი პარამეტრები. პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეუძლია გადასცეს უცხოურ (ინგლისურ) ენაზე და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ანგარიში.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის ათვისების შემდეგ შეუძლია სწორად განსაზღვროს პირადი პროფესიული ზრდის, ან დასაქმების პერსპექტივები, აირჩიოს მისთვის მისაღები ვარიანტი - დასაქმდეს, ან გააგრძელოს სწავლა შესაბამის საბაკალავრო სპეციალობაზე.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	შეუძლია სწორად შეაფასოს როგორც თავისი, ისე სხვების დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობის მიმართ. შეუძლია გაუზიაროს სხვებს მოცემულ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური, უსაფრთხოების, კოლეგიალობისა და სხვა ღირებულებები.